**ხელშეკრულება № 40**
**გამარტივებული შესყიდვის საშუალებით**
**განხორციელების შესახებ**
**(CPV - 03100000; 03200000; 15100000; 15300000; 15400000; 15500000; 15600000; 15800000; 33100000; 44100000)**

თბილისი 26 თებერვალი 2019 წ

ერთი მხრივ, სსიპ „მწერალთა სახლი" (შემდგომში - „შემსყიდველი"), წარმოდგენილი დირექტორ-მენეჯერის ნატალია ლომოურის სახით, მეორე მხრივ შპს „ორი ნაბიჯი" (შემდგომში – „მიმწოდებელი"), წარმოდგენილი გრიგოლ გეორბელიძის (პ/ნ 01026007835) სახით „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს[1]" ქვეპუნქტის საფუძველზე, დებენ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

**1.ხელშეკრულების საგანი**

1.1. წინამდებარე ხელშეკრულების თანახმად ,,მიმწოდებელი" უზრუნველყოფს „მიმწოდებლის" სავაჭრო ობიექტში, ,,შემსყიდველისათვის" დანართ N1-ში განსაზღვრული პროდუქციის მიწოდებას, ხოლო „შემსყიდველი" იღებს ვალდებულებას მიიღოს ეს პროდუქცია და გადაუხადოს მისი ღირებულება „მიმწოდებელს" ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული წესით.

**2. ხელშეკრულების ღირებულება**

2.1. ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების ღირებულება შეადგენს **298,57** (ორას ოთხმოცდათვრამეტი ლარი და 57 თეთრი) ლარს.

2.2. ხელშეკრულების ღირებულებაში შედის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ყველა გადასახადი, რომლის გადახდა ეკისრება „მიმწოდებელს".

**3. საქონლის სახეობა და მიწოდების პირობები**

3.1. „მიმწოდებელი" უზრუნველყოფს ,,შემსყიდველისთვის" სხვადასხვა სახის საკვები პროდუქტების მიწოდებას ხელშეკრულების დანართი №1-ის შესაბამისად.

3.2. „მიმწოდებელი" უზრუნველყოფს ,,შემსყიდველისთვის" საქონლის მიწოდებას ხელშეკრულების გაფორმებიდან 1 სამუშაო დღის განმავლობაში.

3.3. პროდუქციის გაცემისას „მიმწოდებლის" მიერ გამოიწერება შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტი, რომელიც წარმოადგენს საქონლის მიწოდების დამადასტურებელ დოკუმენტს.

**4. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები**

4.1. „მიმწოდებელთან" ანგარიშსწორება ხორციელდება უნაღდო ანგარისწორებით ეროვნულ ვალუტაში.

4.2. "მიმწოდებელი" ფაქტიურად მოწოდებული საქონლის თაობაზე "შემსყიდველთან" ადგენს მიღება-ჩაბარების აქტს, რის საფუძველზეც წარუდგენს საგადასახადო დოკუმენტს საგადასახადო კოდექსით დადგენილი წესითა და ვადით.

4.3. „მიმწოდებელთან" ანგარიშსწორება ხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 5 სამუშაო დღის ვადაში

4.4. ანგარიშსწორების ვადის დარღვევის შემთხვევაში გამყიდველი უფლებამოსილია პირგასამტეხლოს სახით დააკისროს მყიდველს დროულად გადაუხდელი თანხის 0,05% ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

4.5 დაფინანსების წყარო: **საკუთარი შემოსავლები.**

**5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი**

5.1. შესყიდვის ობიექტის მიწოდებად ჩაითვლება მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე "შემსყიდველის" მიერ იმ ,,საქონლის" მიღება, რომელიც უნდა მიაწოდოს "მიმწოდებელმა" ამ ხელშეკრულების მე-3 მუხლით გათვალისწინებული პირობებითა და წესით.

5.2. შესყიდვის ობიექტის მიღების დროს საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს "მიმწოდებელი".

5.3. ხელშეკრულების მე-4 მუხლის 4.2. პუნქტის შეუსრულებლობის შემთხვევაში, არ მოხდება თანხის გადახდა, ხოლო საკითხის 10 დღის ვადაში მოუგვარებლობის შემთხვევაში, "შემსყიდველის" მიერ მიიღება გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

**6. მხარეთა პასუხისმგებლობა**

6.1. წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობაზე ან არაჯეროვნად შესრულებაზე მხარეები პასუხს აგებენ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

**7. მხარეთა ვალდებულებები**

7.1. "მიმწოდებელი" ვალდებულია:

ა) დროულად და ხარისხიანად შეასრულოს ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობები.

ბ) დროულად განიხილოს „შემსყიდველის" მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან.

7.2. „შემსყიდველი" ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს „მიმწოდებლისათვის" თანხის გადახდა ხელშეკრულების მე-4 მუხლის 4.2. პუნქტის შესაბამისად.

ბ)დროულად განიხილოს „მიმწოდებლის" მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან.

**8. ფორს-მაჟორი**

8.1. მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისაგან ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში.

8.2. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარებმა დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ.

8.3. ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო, არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას.

**9. ხელშეკრულების პირობების და ღირებულების გადასინჯვა**

9.1. სახელმწიფო შესყიდვის შესახებ დადებული ხელშეკრულების პირობების შეცვლა არ დაიშვება, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

9.2. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს „შეთანხმების" სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

**10. სადავო საკითხების გადაწყვეტა**

10.1. „შემსყიდველმა" და „მიმწოდებელმა" ყველა ღონე უნდა იხმარონ, რათა შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა გარემოების ირგვლივ.

10.2. თუ "შემსყიდველი" და "მიმწოდებელი" ვერ შეძლებენ 30 დღის ვადაში სადავო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით, შეუძლია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს სასამართლოს.

**11. ხელშეკრულების კონტროლი**

11.1. ხელშეკრულების შესრულების კონტროლს განახორციელებს ინსპექტირების ჯგუფი.

11.2. "შემსყიდველს" ან მის წარმომადგენლებს უფლება აქვთ განახორციელონ მიწოდებული საქონლის ხარისხის კონტროლი.

**12. ხელშეკრულების შეწყვეტა**

12.1 ხელშეკრულება შეიძლება შეწყვეტილ იქნეს:

ა) მხარისათვის წინასწარი წერილობითი შეტყობინების საფუძველზე;

ბ) საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით და ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

**13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა**

13.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2019 წლის 30 მარტის ჩათვლით.

**14. სხვა პირობები**

14.1. ხელშეკრულება შედგენილია 2 ეგზემპლარად და თითოეულ მათგანს თანაბარი იურიდიული ძალა აქვს.

14.2. ხელშეკრულების ერთი ეგზემპლარი ინახება - ,,მიმწოდებელთან'', მეორე -,,შემსყიდველთან''.

**მხარეთა რეკვიზიტები:**

**„შემსყიდველი"**

სსიპ „მწერალთა სახლი"
ს/კ 205299005
მის: ქ. თბილისი, ი. მაჩაბლის №13
ტელ: 2 974101, 2 974102
**საბანკო რეკვიზიტები:**
სახელმწიფო ხაზინა
TRESGE22
სახაზინო კოდი 32 10 01 26

**დირექტორ-მენეჯერი:**

ნატალია ლომოური

**,,მიმწოდებელი"**

შპს „ორი ნაბიჯი"
ს/კ 204571668
მის: ქ. თბილისი, ნავთლუღის ქ. 39/41
ტელ: 599203278
**საბანკო რეკვიზიტები:**
ს.ს. ,,საქართველოს ბანკი"
BAGAGE22
GE87BG0000000787818500

**დირექტორი:**

გრიგოლ გეორბელიძე

დანართი N1

| N | საქონლის დასახელება | CPV - კოდი | ერთეული | რაოდენობა | ერთეულის ფასი | საქონლის ფასი |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ჩაი /გრინფილდი ფლაინგ დრაგონ/ | 15863000 | ცალი | 5 | 3.75 | 18.75 |
| 2 | პომიდორი | 03221240 | კგ | 0.518 | 4.50 | 2.33 |
| 3 | ბულგარული წიწაკა წითელი | 03221230 | კგ | 0.214 | 6.3084 | 1.35 |
| 4 | ბულგარული წიწაკა | 03221230 | კგ | 0.156 | 6.73 | 1.05 |
| 5 | ვაფლი ხზფ შედრიკი შოკოლადით | 15863000 | კგ | 0.502 | 6.494 | 3.26 |
| 6 | კიტრი | 03221270 | კგ | 0.482 | 2.5104 | 1.21 |
| 7 | კივი | 03222118 | კგ | 1.882 | 2.9012 | 5.46 |
| 8 | ყველი / წიფორა სამცხე იმერული მარილიანი 1კგ | 15541000 | ცალი | 1.12 | 12 | 13.44 |
| 9 | ყველი ალპია ქარხნული ალპური 1კგ | 15131130 | კგ | 0.502 | 15.498 | 7.78 |
| 10 | ყველი ალბური მილკოვია 1კგ | 15131130 | კგ | 0.438 | 10 | 4.38 |
| 11 | ყველი/ წიფორა სამცხე სულგუნი ვაკუუმში 1კგ | 15131130 | კგ | 0.488 | 16.209 | 7.91 |
| 12 | შაშხი / ბარკლის ვაკე / 1კგ | 15131130 | კგ | 1.078 | 13.4972 | 14.55 |
| 13 | ყველი / სულგუნი დაწნული შებოლილი | 15541000 | ცალი | 2 | 1.2 | 2.4 |
| 14 | ფორთოხალი | 03222220 | კგ | 1.778 | 2.1991 | 3.91 |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 15 | ყავა ხსნადი/ იაკობს მონარქი/ 230გრ+70გრ | 15861000 | ცალი | 2 | 18.95 | 37.9 |
| 16 | წყალი /ბაკურიანი/ 0.5ლ | 41110000 | ცალი | 48 | 0.42 | 20.16 |
| 17 | წვენი/სანდორა ფორთოხალი 0.95ლ | 15321000 | ცალი | 10 | 3.55 | 35.5 |
| 18 | ზეთი სიმინდის სლობოდა 1ლ | 15411100 | ცალი | 1 | 4.85 | 4.85 |
| 19 | არაჟანი სოფლის ნობათი 20%/350გრ | 15512000 | ცალი | 4 | 2.8 | 11.2 |
| 20 | ვანილი იამუნია | 15612410 | ცალი | 10 | 0.17 | 1.7 |
| 21 | ხაჭო/სოფლის ნობათი 5% ბრიკეტი/180გრ | 15542100 | ცალი | 4 | 1.99 | 7.96 |
| 22 | მაწონი წოფლის ნობათი 3,5%/ 400გრ | 15551000 | ცალი | 4 | 1.8 | 7.2 |
| 23 | ძმარი ღვინის ოდა სუფრის | 15871110 | ცალი | 1 | 1.3 | 1.3 |
| 24 | კარაქი /პრეზიდენტი ნაღების 82%/ | 15530000 | ცალი | 3 | 5.95 | 17.85 |
| 25 | თაფლი ცაცხვის და ყვავილების 1000გრ | 15831600 | ცალი | 1 | 20.5 | 20.5 |
| 26 | შოკოლადის ფილა/ ალპენ გოლდი , რძიანი შოკოლადი თხილით | 15842100 | ცალი | 2 | 2.25 | 4.5 |
| 27 | შაქარი 1კგ | 15831000 | კგ | 3.936 | 1.25 | 4.92 |
| 28 | რძე /სოფლის ნობათი 2.5%/ | 15511000 | ცალი | 4 | 3.2 | 12.8 |
| 29 | ფქვილი ხორბლის მზეკაბანი | 15612100 | ცალი | 1 | 2.75 | 2.75 |
| 30 | კვერცხი/კოდა/ 10ც | 03142500 | ცალი | 6 | 3.2 | 19.2 |
| 31 | პარკი /ცელოფანი/ 1ც | 33141610 | ცალი | 5 | 0.1 | 0.5 |

ჯამი **298.57**

**სსიპ „მწერალთა სახლი"**

დირექტორ-მენეჯერი:

**ნატალია ლომოური**

**შპს ,,ორი ნაბიჯი"**

დირექტორი:

**გრიგოლ გეორგელიძე**

მიღება-ჩაბარების აქტი № 40

ქ.თბილისი 26 თებერვალი 2019 წ

ერთი მხრივ, სსიპ „მწერალთა სახლი" (შემდგომში „შემსყიდველი"), წარმოდგენილი დირექტორ-მენეჯერის ნატალია ლომოურის სახით და მეორე მხრივ შპს „ორი ნაბიჯი" (შემდგომში „მიმწოდებელი"), წარმოდგენილი დირექტორის გრიგოლ გეორბელიძის სახით, ადასტურებენ, რომ 2019 წლის 25 თებერვლის № 40 ხელშეკრულების პირობების შესაბამისად „მიმწოდებელმა" „შემსყიდველს" მიაწოდა ხელშეკრულების დანართი №1-ით გათვალისწინებული საქონელი.

მიწოდებული საქონლის ღირებულება არის 298,57 (ორას ოთხმოცდათვრამეტი ლარი და 57 თეთრი) ლარი.

„შემსყიდველი"
ნ.ლომოური

„მიმწოდებელი"
გ.გეორბელიძე